სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ქართული ლიტერატურა/Georgian Linerature** პროგრამა შედგება ოთხი მოდულისაგან: I მოდული: ძველი ქართული ლიტერატურა II მოდული: ახალი ქართული ლიტერატურა III მოდული: უახლესი ქართული ლიტერატურა IV მოდული : ზეპირსიტყვიერება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი** ქართული ლიტერატურის მაგისტრი / Master of Georgian Literature **სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი** კვლევის მაგისტრი ქართულ ლიტერატურაში / Master of Research in Georgian Literature
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი** • ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 20 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • ძველი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • ახალი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • უახლესი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • ზეპირსიტყვიერება - 20 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • ძველი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • ახალი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • უახლესი ქართული ლიტერატურა - 20 ECTS კრედიტი; • ზეპირსიტყვიერება - 20 ECTS კრედიტი; **მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება.** **სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი** • ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ყველა მოდულისთვის სავალდებულო დისციპლინები - 5 ECTS კრედიტი; მოდულის სავალდებულო დისციპლინები: • ძველი ქართული ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი;

	• ახალი ქართული ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი; • უახლესი ქართული ლიტერატურა - 10 ECTS კრედიტი; • ზეპირსიტყვიერება - 10 ECTS კრედიტი; არჩევითი დისციპლინები: • ძველი ქართული ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; • ახალი ქართული ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; • უახლესი ქართული ლიტერატურა - 15 ECTS კრედიტი; • ზეპირსიტყვიერება - 15 ECTS კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომი - **30 ECTS** კრედიტი **კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: ა) საერთო სამაგისტრო გამოცდა; ბ) ბაკალავრის ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში; ბაკალავრი (სწავლების ძირითადი დარგი ქართული ფილოლოგია/ფილოლოგია)/ ან ბაკალავრი, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ქართულ ფილოლოგიაში; გ) უცხოური (ინგლისური/ გერმანული /ფრანგული) ენის **B1 / B2** დონეზე ცოდნის დადასტურება FCE ტესტური ფორმატის გამოცდით (მიღებული ქულის მიხედვით ენის ფლობის დონის განსაზღვრა : 71-100 B2; 51 - 70 B1) ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით. ამასთან, B2 დონით შემომსვლელი მაგისტრანტები თავისუფლდებიან პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული ინგლისური/ გერმანული /ფრანგული B2.1 და B2.2 კურსების გავლის ვალდებულებისგან; დ) სასპეციალიზაციო გამოცდა ქართულ ლიტერატურაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **ქართული ლიტერატურის**

	მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულის აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მან **შეძლოს:** 1. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში პრაქტიკული საქმიანობის წარმართვა; 2. მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვის კულტურის ჩამოყალიბება. 3. ცოდნის გაღრმავება ტექსტის სტრუქტურულ, სტილისტურ, ტიპოლოგიურ და კომპოზიციურ სტრუქტურებთან მიმართებაში; 4. ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარის გამომუშავება; 5. ანალიტიკური აზროვნება და პროფესიული წერა (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური ესე), ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების დახვეწა. 6. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნის გაღრმავება. **ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია** შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად კურსდამთავრებულის აღჭურვა საერთაშორისო კომპეტენციებზე დაფუძნებული სისტემური ცოდნითა და უნარებით, რომ მან **შეძლოს:** 1. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში

	სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა; 2. მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურის ჩამოყალიბება. 3. ტექსტის სტრუქტურულ, სტილისტურ, ტიპოლოგიურ და კომპოზიციურ სტრუქტურებთან მიმართებაში ცოდნის გაღრმავება; 4. კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურის საფუძვლიანად შესწავლა და ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარის გამომუშავება; 5. ანალიტიკური აზროვნება და პროფესიული წერა (კრიტიკული სტატია, პუბლიცისტური გამოკვლევა, ესე), ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დამოუკიდებელი კვლევის წარმოების უნარ-ჩვევების დახვეწა. 6. მიღებული ცოდნისა და უნარის საფუძველზე ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევების წარმართვა; 7. ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ქართული ზეპირსიტყვიერების კონკრეტული საკითხების კვალიფიციური ცოდნის გაღრმავება.
სწავლის შედეგები[1]	ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ოთხ მოდულს აერთიანებს: **I მოდული** – ძველი ქართული ლიტერატურა, **II მოდული** – ახალი ქართული ლიტერატურა, **III მოდული** – უახლესი ქართული ლიტერატურა, **IV მოდული** - ზეპირსიტყვიერება. თითოეული მოდულის დასრულების შედეგად მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს გაიაზროს ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების კონკრეტული პრობლემები, გამონახოს მათი გადაჭრის გზები, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, განივითაროს კვლევის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი, რაც ფუნდამენტური წინაპირობაა მისი წარმატებით დასაქმებისა და შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამული მოდულის სწავლის შედეგების

	გათვალისწინებით.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული ქართული ლიტერატურის მაგისტრი **სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** აყალიბებს და აანალიზებს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების მნიშვნელოვან საკითხებს, ძირითად პრობლემატიკას, დამუშავებულს ქართულ და საზღვარგარეთულ მეცნიერებაში. აღწერს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინათა სპეციფიკასა და გამოყენებით მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის შესწავლის კონტექსტში. მიმოიხილავს ქართულ და/ან ერთ-ერთ ევროპულ ენაზე არსებულ დარგობრივ ლიტერატურას, ლექსიკონებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს, დარგის პრობლემურ საკითხებზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს. **I მოდულის არჩევის შემთხვევაში** აღწერს და მიმოიხილავს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროებისა და ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში შესწავლისა და დამუშავების პრობლემებს. ქართული მწერლობის განვითარების ძირითად ეტაპებს, შეუძლია გაანალიზება და დასკვნების ჩამოყალიბება ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და ძველი ქართული საერო ლიტერატურის ძირითად პრობლემატიკათა სფეროში. **II მოდულის არჩევის შემთხვევაში** მიღებული ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის მახასიათებელ ძირითად ასპექტებს, ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პუბლიცისტურ და თეოლოგიურ პრობლემატიკას; აღწერს და განიხილავს ახალი ქართული მწერლობის კლასიკოსების (ილია, აკაკი, ვაჟა) ლიტერატურულ მემკვიდრეობას - კრიტიკულ-ლიტერატურულ ნააზრევს, ლირიკას, ეპოსს, პროზასა და დრამატურგიას. **III მოდულის არჩევის შემთხვევაში** მიმოიხილავს XX საუკუნის ქართული პროზისა და პოეზიის ფორმაციის გზას და ლიტერატურის ისტორიას, XX საუკუნის

	ქართული მწერლობის მიმდინარეობებს და ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევის ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს. მიმოიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქართველი ემიგრანტი მწერლების შემოქმედებას იმ ქვეყანათა კულტურული სივრცის გათვალისწინებით. **IV მოდულის არჩევის შემთხვევაში** აღწერს ქართული ფოლკლორისტიკის აღმოცენებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს; ქართული ზეპირსიტყვიერების ადგილსა და როლს კავკასიის ხალხთა ისტორიაში, ყოფასა და კულტურაში. განმარტავს ფოლკლორის თეორიის ძირითად საკითხებს შედარებით ისტორიულ-ტიპოლოგიურ და სხვა თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს .
ბ) უნარები	ქართული ლიტერატურის მაგისტრი იყენებს ახალ მეთოდებს და აუცილებელ ტერმინოლოგიურ აპარატს ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების განხილვისას. აანალიზებს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს. გამოყოფს ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაჭრის თანამედროვე გზებს. ახდენს ლიტერატურათმცოდნეობითი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებასა და შეფასებას. **I მოდული** აანალიზებს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრეს სფეროებს; საერო და სასულიერო ლიტერატურულ თხზულებებს. იაზრებს ძველ ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, ასაბუთებს ლიტერატურის კრიტიკოსთა მიერ დამუშავებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციულ და უახლეს სამეცნიერო პრობლემატიკას. **II მოდული** აანალიზებს იმ პრობლემატიკასა და ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებს, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლისას იჩენს თავს.ამოიცნობს და აანალიზებს ახალი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა და ძველ და უახლეს პერიოდებთან მიმართებებისა და თავისებურებების პრობლემებს. **III მოდული** აანალიზებს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას. ამოიცნობს და აყალიბებს თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის აქტუალურ პრობლემებს. ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების მრავალმხრივ შეფასებას. შეუძლია დასკვნების გამოტანა და არგუმენტირება

	ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციული აზრების, დებულებებისა და კონცეფციების გათვალისწინებით. **IV მოდული** აანალიზებს ფოლკლორისტიკის ძირითადი საკითხებს, აყალიბებს ფოლკლორული ტექსტს შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ ჭრილში; ამოიცნობს და განმარტავს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ძირითად ასპექტებს, კომპლექსურ პრობლემებს ქართული ზეპირსიტყვიერების მსოფლიოს ფოლკლორულ და ეპიკურ-ლიტერატურულ თხზულებათა ურთიერთმიმართებით . 2. აანალიზებს დარგობრივ ლიტერატურას, ახდენს მის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან. ახდენს საკუთარი მოსაზრების დემონსტრირებას, საინფორმაციო-საკომუნიკაციოტექნოლოგიების გამოყენებით ამზადებს პრეზენტაციას ფოლკლორისტიკის საკითხების შესახებ, ამყარებს კომუნიკაციას აუდიტორიასთან და აწვდის ინფორმაციას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• პატივს სცემს მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს; • გამოხატავს უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობას, ტოლერანტობას განსხვავებული პოზიციის მიმართ. აფიქსირებს დოგმატიზმის, ფანატიზმის, სწორხაზოვანი აზროვნების, შეზღუდულობის უარყოფას და აღიარებს საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროებას; მხარს უჭერს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	**პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული კვლევის მაგისტრი ქართული ლიტერატურაში** **სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აყალიბებს და აანალიზებს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების ძირითად თეორიებს და სამეცნიერო პრობლემატიკას, დამუშავებულს ქართულ და საზღვარგარეთულ მეცნიერებაში. ქართული მწერლობის მიმართების საკითხებს გვიანდელი შუასაუკუნეებისა და რენესანსის ეპოქების ძირითად თეოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ პრობლემატიკასთან. სიღრმისეული და სისტემური ცოდნის საფუძველზე აღწერს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის,

	როგორც მეცნიერულ დისციპლინათა სპეციფიკასა და გამოყენებით მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის კვლევის კონტექსტში. ახდენს ცალკეული პრობლემის განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებას საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების საშუალებით, როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციით. საფუძვლიანად მიმოიხილავს ქართულ და/ან ერთ-ერთ ევროპულ ენაზე არსებულ დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს, დარგის პრობლემურ საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებსა და თეორიებს. **I მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე მიმოიხილავს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრესი სფეროების და ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში შესწავლისა და მეცნიერული დამუშავების პრობლემებს. შეუძლია დამოუკიდებელი დასკვნების ჩამოყალიბება ჰაგიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიისა და ძველი ქართული საერო ლიტერატურის სამეცნიერო კვლევის ძირითად პრობლემატიკათა სფეროში. **II მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის ძირითად ასპექტებს, ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პუბლიცისტურ და თეოლოგიურ პრობლემატიკას ევრო-ამერიკულ სივრცესთან ინტერტექსტუალურ მიმართებებში. განიხილავს ახალი ქართული მწერლობის კლასიკოსების (ილია, აკაკი, ვაჟა) ლიტერატურულ მემკვიდრეობას სამეცნიერო კვლევებში - კრიტიკულ-ლიტერატურულ ნაზრევს, ლირიკას, ეპოსს, პროზასა და დრამატურგიას თანამედროვეობის გლობალურ პრობლემათა კონტექსტში. **III მოდულის არჩევის შემთხვევაში** საფუძვლიანად მიმოიხილავს XX საუკუნის ქართული პროზისა და პოეზიის ფორმაციის გზას და მისი სამეცნიერო კვლევის ისტორიას, XX საუკუნის ქართული მწერლობის უმთავრესი მიმდინარეობებს (კერძოდ, მოდერნიზმს) ინტერკულტურულ სამეცნიერო კონტექსტში, თანამედროვე ქართული პროზის, პუბლიცისტური მწერლობის (მემუარები, ესეები) და ლიტერატურათმცოდნეობითი ნაზრევის ჟანრობრივ და ესთეტიკურ თავისებურებებს. მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში დამუშავებულ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში

	ქართველი ემიგრანტი მწერლების შემოქმედებას იმ ქვეყანათა კულტურული სივრცის გათვალისწინებით. **IV მოდულის არჩევის შემთხვევაში** სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე აღწერს და მიმოიხილავს ქართული ფოლკლორისტიკის აღმოცენებისა და მეცნიერული განვითარების ძირითად ეტაპებს; ქართული ზეპირსიტყვიერების ადგილსა და როლს კავკასიის ხალხთა ისტორიაში, ყოფასა და კულტურაში. საკუთარი დასკვნების საფუძველზე ხსნის განმარტავს ფოლკლორის თეორიის ძირითად საკითხებს (ტრადიცია, ჟანრების წარმოშობა, იმპროვიზაცია, სინკრეტიზმი, კონტამინაცია, ვარიანტულობა, დრო და სივრცე), შედარებით ისტორიულ-ტიპოლოგიურ და სხვა თანამედროვე სამეცნიერო თეორიებს (სტრუქტურალისტურ, რიტუალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებს).
ბ) უნარები	ქართული ლიტერატურის მაგისტრი იყენებს ახალ კვლევით მეთოდებს და აუცილებელ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ აპარატს ლიტერატურული და ფოლკლორული ტექსტების კვლევისას. კრიტიკულად აანალიზებს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს. გამოყოფს ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევის პრობლემური საკითხების გადაჭრის ინოვაციურ გზებს. ახდენს ლიტერატურათმცოდნეობითი არგუმენტების კრიტიკულ შეჯამებასა და შეფასებას. გამოყოფს სამეცნიერო ინფორმაციაში კონცეპტუალურ პრიორიტეტებს, იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო-კვლევით ინსტრუმენტს. **I მოდული** მეცნიერულად აანალიზებს ძველი ქართული ლიტერატურის უმთავრეს სფეროებს; საერო და სასულიერო ლიტერატურულ თხზულებებს. იაზრებს ძველ ქართულ ლიტერატურას მსოფლიო ლიტერატურის საერთო კონტექსტში, არგუმენტირებულად ასაბუთებს მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციულ და უახლეს სამეცნიერო პრობლემატიკას და კრიტიკულად აანალიზებს მათ. **II მოდული** მეცნიერულად აანალიზებს იმ პრობლემატიკასა და ლიტერატურულ მიმართულებათა თავისებურებებს, რომლებიც მე-19 ს. ქართული მწერლობისა და ამ ეპოქის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების მეცნიერული შესწავლისას იჩენს თავს.

	III მოდული ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე მეცნიერულად აანალიზებს მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიას. ამოიცნობს და აყალიბებს თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესის აქტუალურ პრობლემებს. ახდენს ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებას საკუთარი კვლევის შედეგებით, დასკვნებითა, არგუმენტირებით და ლიტერატურათმცოდნეობითი ტრადიციული აზრების, დებულებებისა და კონცეფციების გათვალისწინებით. **IV მოდული** აანალიზებს ფოლკლორის თეორიის ძირითადი საკითხებს, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აყალიბებს ფოლკლორული ტექსტს შედარებით-ისტორიულ, ტიპოლოგიურ, სტრუქტურალისტურ და ფუნქციონალისტურ თეორიებზე დაყრდნობით; ამოიცნობს და განმარტავს ხალხური ეპოსის წარმოშობისა და ჩამოყალიბების კვლევის კომპლექსურ პრობლემებს ქართული ზეპირსიტყვიერების მსოფლიოს ფოლკლორულ და ეპიკურ-ლიტერატურულ თხზულებათა ურთიერთმიმართებით. კრიტიკულად აანალიზებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას, ახდენს მის სინთეზს, ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალიზაციას სხვადასხვა პერსპექტივიდან, მოიძიებს სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს. ახდენს კვლევის შედეგებისა და საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრების დემონსტრირებას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აწვდის ინფორმაციას აკადემიურ საზოგადოებას საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენაზე. მონაწილეობს პროფესიულ დისკუსიებში.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა • ზუსტად გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს პროფესიული ცოდნის გასაახლებლად, შემდგომი სწავლის პროცესისა და კვლევების დამოუკიდებლად სამართავად; • იღებს დაკისრებულ მოვალეობებზე პასუხისმგებლობას პატიოსნებისა და ღირსების გრძნობით; პატივს სცემს მორალურ, ეთიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ნორმებს; • გამოხატავს უცხო ფენომენის მიმართ შემწყნარებლობას, ტოლერანტობას განსხვავებული პოზიციის მიმართ.

	აფიქსირებს დოგმატიზმის, ფანატიზმის, სწორხაზოვანი აზროვნების, შეზღუდულობის უარყოფას და აღიარებს საკითხის პლურალისტური განხილვის საჭიროებას; • მხარს უჭერს ზოგადსაკაცობრიო და მულტიკულტურულ ღირებულებებს და თავისი პროფესიული საქმიანობით ცდილობს მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	დარგობრივი ცოდნის გადაცემა-მიღებისათვის პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა სწავლება-სწავლის მეთოდთა (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი / წერითი მუშაობის / დემონსტრირების / თანამშრომლობითი სწავლების / პრაქტიკული / როლურ-სიტუაციური და სხვ.) საკუთარ ნაკრებს იყენებს, რომელსაც საგნის მიზნების შესაბამისად ქმნის და იგი, საგნის სწავლების ფორმატთან ერთად, ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში საგანგებოდაა წარმოდგენილი.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა

	დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰოქნდეს არანაკლენ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება: • ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში; • ისტორიულ-ლიტერატურულ-ეთნოგრაფიულ და

	მემორიალურ მუზეუმებში; • საქართველოს ბიბლიოთეკებსა და არქივებში; • სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში; • რედაქტორად გამომცემლობაში, რედაქციებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი:** ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი ნესტან სულავა, ასოცირებული პროფესორი ლელა ხაჩიძე, ასოცირებული პროფესორი მაკა ელბაქიძე, ასოცირებული პროფესორი ნანა გონჯილაშვილი, ასოცირებული პროფესორი დარეჯან მენაბდე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ხვთისო ზარიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლაურა გრიგოლაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თამარ შარაბიძე, ასოცირებული პროფესორი ეკა ვარდოშვილი, ასოცირებული პროფესორი ლევან ბებურიშვილი, ასისტენტ პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი, III მოდულის ხელმძღვანელი თამარ პაიჭაძე, ასოცირებული პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე, ასოცირებული პროფესორი ნინო მინდიაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი, IV მოდულის ხელმძღვანელი ხვთისო მამისიმედიშვილი, ასოცირებული პროფესორი ელენე გოგიაშვილი, ასოცირებული პროფესორი მარიამ ბაკურიძე, ფილოლოგიის დოქტორი **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი:** ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე. ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო

	სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზეც. ამასთანავე, პროგრამას მჭიდრო კავშირი აქვს პროფილურ ინსტიტუციასთან – შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისნტიტუტი. მასთან თანამშრომლობა (ერთობლივი ღონისძიებები, მოწვეული ლექტორები, სტუდენტთა მოკლევადიანი ვიზიტები, სტაჟირების შესაძლებ-ლობა) მაგისტრანტს მისცემს პრაქტიკულ გამოცდილებას და დაეხმარება მას სრულფასოვან სამეცნიერო–პედაგოგიურ კადრად ჩამოყალიბებაში. სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა შეადგენს **10 -15 სტუდენტს.**
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების, თემატური ვორკშოპების, სეზონური სკოლების, საველე სამუშაოების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამას ემსახურება დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის მთელ რიგ კვლევით ცენტრებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში. მაგისტრანტთა დიდი ნაწილი დაფინანსებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით, ისინი აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამის პროფესურის სამეცნიერო-კვლევით გრანტებში საკუთარი კომპენეტციის ფარგლებში.